13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებს.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის
სახელობის კინომსახიობთა
პროფესიული სახელმწიფო თეატრი

ს/კ - 202270452
მის: თბილისი დ. აღმაშენებლის 164
ტელ: 2 35-01-94
ს/ს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი - BAGAGE22
ა/ა GE83BG0000000116309300

დირექტორი - ზურაბ გეწაძე

(ხელმოწერა) ბ.ა.

მიმწოდებელი:

ს/ს „გუდვილი“

ს/კ - 206343991
თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ.№1
ტელ: 2 24 36 79
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი - TBCBGE 22
ა/ა GE 61 TB 36 153 360 201 000 04

დირექტორი - ბესიკ ჯიქურაული

(ხელმოწერა) ბ.ა.